

ლობისა და წყურუების წყალობით [უნდა იყოს: გამო] ამ მანქანებს მოხსნეს ის უნიკალური აპარტურა და უმოკმედოდ ყრია“ („კომ.“)...

ჰ

ჰიდილი იგეგვა, რაც: შებმა, შეჭიდება, ჭიდაობა, და იხმარება როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი, ხატოვანი მნიშვნელობით.

1) პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას ფიზიკური ორთაბრძოლა (უიარაღოდ) იგულისხმება. მაგ.: „მოდო, გავიღეთ თუნდ ზმალში, თუნდ კრივში, თუნდ **ჰიდილში**“ (ვაჟა). ამიტომ ეს სიტყვა შეუფერებელია ყოველგვარი შეჯიბრების, მათ შორის — მრავალჭიდის, ხუთჭიდის და ა. შ. სახეობათა აღსანიშნავად, რომლებშიც მონაწილეობას იღებს ერთდროულად რამდენიმე (და არა მხოლოდ ორი) მეტოქე. ამ მნიშვნელობით სიტყვა **ჰიდილის** არაზუსტი ხმარების ნიმუშია: „პოკატაევმა გუნდური შეჯიბრების დროს ხუთივე **ჰიდილი** მოიგო“ („ლელო“). მოცემულ კონტექსტს უფრო შეეფერება სიტყვა **ბრძოლა** ან **თამაში**, ან სხვაგვარად აგებული ფრაზები: შეჯიბრების ხუთსავე სახეობაში გაიმარჯვა, ანდა: ხუთჭიდის ყველა სახეობაში გამოვიდა გამარჯვებული.

2) ხატოვანი, ფიგურალური მნიშვნელობით ეს სიტყვა ძირითადად განყენებულ ცნებებთან იხმარება. მაგ.: „ჩემი დიდი ხნის გრძობა-გონების **ჰიდილი** ამ ორმა სიტყვამ უნდა გადაწყვიტოს?“ (აკაკი); „მაგრამ **ჰიდილი** შურის და რისხვის საბედისწერო აღმოჩნდა“ („ცისკ.“). თუ ამ ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელი ადამიანია, ასეთ შემთხვევაში **ჰიდილი**, **შეჭიდება** ზმნები უმეტესწილად სხვადასხვა სახის დაბრკოლებათა აღმნიშვნელ სახელებს უკავშირდება, რომლებიც წინადადებაში ირიბი და -თან თანდებულებიანი უბრალო დამატების როლს ასრულებს. ეს სახელებია: **სიძნელე**, **სირთულე**, **პრობლემა**, **უსამართლობა**, **ბედი**, **საწუთრო**, **მტერი**, **ავადმყოფობა**, **სიკვდილი**, **სტიქია** და მისთ. მაგ.: „ეაშად გცოდნია **მტერთან ჰიდება!**“ (გ. ლეონ.); „მის ლექსებში ყველაზე ძალუმაღ გამოხატავნდა ქართველობის სიძნელისი, **ბედთან** მისი ვაჟაკური **ჰიდილი**“ („ახ. კომ.“); „**ჭაბუკი** მძიმე **საქმეს შესჭიდებოდა**“ („ცისკ.“); „მშრომელი ადამიანი... **ბუნებას შეჭიდებია**, **ბუნებასთან** გაუმართავს ზელჩართული ბრძოლა“ („ლიტ. საქ.“); „— **აღბათ**, ისიც **დაიღალა**, **ხუმრობა** ხომ არ არის ასეთ **კლდესთან ჰიდილი**, — **ხუმრობს** ვიღაცა“ („თბილ.“); „აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, **სიძნელეებთან ჰიდილში**... რომ პოულობენ უდიდეს სულიერ სიამოვნებას“ („ახ.

კომ.); „მწუხრზე სიცოცხლეს დავედევნებო და ღამე სიკვდილს დავე-
ქიდები“ (ს. ჩიქ.).

ყველა ანალოგიურ კონტექსტში იგულისხმება, რომ ამგვარ დაბრ-
კოლებათა გადალახვა აღამიანისათვის (და ზოგჯერ სხვა სულიერი-
თვისაც) შვების მომტანია. სწორედ ამიტომ შეუფერებელია სიტყვათ-
შეხამება **ჯანმრთელობასთან ჭიდილი** („თბილ.“ — სათ.), ვინაიდან
ჯანმრთელობა გადასალახავი დაბრკოლება კი არა, სასურველი მდგო-
მარეობა, მისაღწევი მიზანია. მაშასადამე, **ჯანმრთელობასთან კი არა,**
არამედ **ჯანმრთელობისათვის,** მის მოსაპოვებლად, უზრუნველსაყოფად
შეიძლება (და საჭიროა) ბრძოლა, **ჭიდილი ავადმყოფობასთან** (სენთან,
სიკვდილთან...).

ბ

ხაზგასმით დარწმუნდება. დარწმუნდება ზმნის მნიშვნელობა:
დაიჯერებს, ირწმუნებს, სარწმუნოდ მიიჩნევს, იწამებს, ეპყვი აღარ
დარჩება. მაგ.: „ამას ყველაფერს თქვენი თვალთვით ნახავთ ექა და
დარწმუნდებით“ (ი. მაჩაბ., თარგმ.). ეს ზმნა გარკვეული კატეგორიუ-
ლობის ნიუანსის შემცველია და მასთან შესიტყვებებს ქმნის რამდენი-
მე ზმნისართი: **ხაზოლოდ დარწმუნდება, მალე დარწმუნდება, მტკი-
ცივდ დარწმუნდება, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდება, გვიან დარწმუნ-
დება, ადვილად დარწმუნდება, ღრმად დარწმუნდება...** ამ ზმნისაგან
ნაწარმოები მიმდებარა — **დარწმუნებული** — კი უპირატესად **ღრმად
ზმნისართს** თუ შეუწყვილდება: **ღრმად დარწმუნებული.** შესაძლოა
აგრეთვე: **მტკიცედ დარწმუნებული.**

მაგრამ ყველა ზმნისართის განურჩევლად გამოყენება ამ ზმნასთან
არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ სტილისტიკურ შეუსაბამობას ქმნის
გამოყოფილი შესიტყვება შემდეგ წინადადებაში: „ამის შემდეგ კიდევ
უფრო **ხაზგასმით დარწმუნდი,** როგორ ბყვარებია თეიმურაზს საქარ-
თველო“ („თბილ.“). ზმნისართი **ხაზგასმით** ნიშნავს: ყურადღების გა-
მახვილებით, საგანგებოდ, შეკაფიოდ. აქედან გამომდინარე, **ხაზგასმით**
შეიძლება რისამე აღნიშვნა, წარმოჩენა, ჩვენება, თქმა, მაგრამ არა —
დარწმუნება. შდრ.: „ეს გარემოება **ხაზგასმით** აქვს **აღნიშნული** პეტრე
ქართველის ცხოვრების ავტორს“ (ივ. ჯავახ.).

ხარისხს აღიკავს. ხშირად ურევენ შინაარსობრივად დაახლოე-
ბულ ორ მსგავს კონსტრუქციას: **დისერტაციას დაიცავს და ხამეცნიე-
რო ხარისხს მოიპოვებს.**

დისერტაციის დაცვა არის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის დებულებათა დასაბუთება (დისპუტის წესით) სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე და წარმოდგენილი შრომის დადებითი შეფასების შემდეგ შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება. **სამეცნიერო ხარისხის მოპოვება** კი სამეცნიერო კვალიფიკაციის ოფიციალური დადასტურებაა. სწორედ დისერტაციის დაცვით ხდება საძიებელი სამეცნიერო ხარისხის მოპოვება.

ამ წყვილთა „შეჯერების“ ნიადაგზე სასაუბრო ენაში ხშირად ისმის: „**ხარისხს იცავს**“, „**ხარისხი დაიცვა**“, არცთუ იძვიათად კი ეს შესიტყვებები სასაუბრო მეტყველებიდან სალიტერატურო ენაშიც აღწევს. მაგ.: „იგი ამჟამად **სამეცნიერო ხარისხის** [უნდა იყოს: დისერტაციის] დასაცავად ემზადება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „უკვე მეხუთე წელია ინსტიტუტი დაამთავრა, მას კი ჯერ **ხარისხიც** [უნდა იყოს: დისერტაციაც] არ დაუცავს“ (გ. ფანჯ.); „**ხარისხი** (უნდა იყოს: დისერტაცია) არ დამიცავს“ (გ. ფანჯ.); „მის ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ **დაიცვა სამეცნიერო ხარისხი** [უნდა იყოს: დისერტაცია]“ („კომ.“).

ხდება, ახდენს. ამ ზმნათა უმარტებულოდ გამოყენების შესახებ იხ. **მოახდენს, მოხდება.**

ხელმძღვანელობს ზმნის ნაცვლად ხშირად გამოიყენება მისი სინონიმი უძღვება. ამ ორი ზმნის განსხვავებული სემანტიკური ნიუანსების შესახებ იხ. უძღვება — **ხელმძღვანელობს.**

ხელობა. ქართული და უცხოური წარმომავლობის სინონიმების (**ხელობა** — **პროფესია** — **სპეციალობა**) მონაწილეობით შექმნილ შესიტყვებათა აღრევის შემთხვევების შესახებ იხ. **პროფესია** — **სპეციალობა** — **ხელობა.**

ხელურობს; ხელურობა — აღნიშნავს დანაშაულის ჩადენის (მოტაცების, თავდასხმის) ცდას, მცდელობას: „საკოლმეურნეო ქონების **ხელყოფა** ფაქტიურად მტრისთვის ხელის შეწყობას ნიშნავს“ („კომ.“). **ხელყოფა, ხელყოფს** თანამედროვე ქართულში აქტიური მოხმარების სიტყვები არ არის და უფრო წიგნური მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი.

უკანასკნელ ხანს ქართული პრესის ენაში შემჩნევა ამ სიტყვათა გამოყენება სათანადო მოქმედების თავისებურად, არაორდინარულად გამოხატვის მიზნით. მაგ.: „გვიანლა მივხვდია ყოველივეს — სევდიანი და უკაცრიელნი, გატრიზავებულნი და სახეჩაყიებულნი ეყუდნენ ფოშდელისა და მანხეფარის მთები — მავანმა თითქოს, ეს-ეს არისო, უხეზად **ხელყო** [უნდა იყოს: დაარღვია] მათი მყუდროება, შეურაცხპყო მათათა უფლებამოსილება და ამადლებულობა“ („კომ.“);

„ეჲ, საჩინოს მერე, ბარემ, აღარც დირს ჩემი სიცოცხლე, მაგრამ ძნელი ყოფილა საკუთარი თავის ხელყოფა [უნდა იყოს: გაწირვა, თავის გამეტება, ან: თავის მოკვლა]“ („კომ.“); „შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, მან შურისძიების მიზნით ჯერ კ. ჯოლიას სიცოცხლე ხელყო [უნდა იყოს: ჩააგდო საფრთხეში, ან უფრო მარტივად: ჯოლია დაჰკრა], შემდეგ ავიდა გოგონების ოთახში...“ („კომ.“). კიდევ უფრო შეუფერებელია ხელყოფა ზმნის დაკავშირება დილა სახელთან (როგორც ობიექტთან), ვინაიდან რაიმეს დარღვევა, ხელყოფა, დანაშაულის ჩადენის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საგნის ან ცვალებადი მოვლენის მიმართ. სიტყვა დილა კი, როგორც დროის ერთ-ერთი მონაკვეთის აღმნიშვნელი სახელი, ამგვარი გარეგანი ზემოქმედების შესაძლებლობას გამორიცხავს. ერთ-ერთი საგანზეთა სტატიის სათაურია: „ხელყოფა დილისა“ („თბილ.“). როგორც თვით სტატიიდან ირკვევა, საუბარი ეხება დილის მყუდროების (სიჩუმის, სიმშვიდის) დარღვევას. შდრ.: „გამთენიის ხანს ქუჩის მშვიდი რინდი (sic!) ვილაცის უაზრო, ვითომდა დარდიმანდულმა გაკვილებამ შესძრა“... შეუფერებელია როგორც დილის ხელყოფა, ისე რინდი შესძრა. მით უფრო, რომ სიტყვათა ლოგიკური კავშირიც დარღვეულია.

“ **ხვდბ.** წინადადებაში მისი უმართებულოდ გამოყენების შესახებ იხ. წილად ხვდა, წილად ერგო.

ხვედრი ზმნური წარმოშობის არსებითი სახელია და ნიშნავს: 1. რაც ვისმე ერგება, მისი კუთვნილია, წილია, ულუფა, კერძი. 2. სვე, ბედი. სალიტერატურო ქართულში იგი ძირითადად მეორე მნიშვნელობითაა გავრცელებული. მაგ.: „მეტი რა ჩარა იყო, მუცელა უნდა დამორჩილებოდა თავის ხვედრს“ (ვაჟა). ამ წინადადებაში თავისუფლად შეიძლებოდა ხვედრის ნაცვლად გვეხმარა ბედი, რადგანაც ბედსაც და ხვედრსაც ძირითადი სემანტიკური ნიუანსი საერთო აქვთ, — ორივე ისეთი კუთვნილი წილია, რომლის ხასიათი ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად არის განსაზღვრული, ბუნებისაგან, ღვთისაგან ბოძებულად აღიქმება და ამიტომ ფატალურადაც გაიაზრება. ოღონდ, ხვედრის ხმარება ბუნებრივი ჩანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წილი უარყოფითი ემოციური შინაარსისაა, ბედი კი შეიძლება სასიამოვნო, სასურველ კუთვნილებასაც აღნიშნავდეს და არასასურველსაც. ამიტომ ხვედრი და ბედი სიტყვების სინონიმური მონაცვლეობა შესაძლებელია მხოლოდ უარყოფითი ემოციური შეფერილობის წინადადებებში. თუმცა ამ შემთხვევაშიც ყოველთვის თავისუფლად ვერ შეინაცვლებიან ისინი ერთმანეთს, მით უფრო, მყარ გამოთქმაში. ბედს ხწევს / ბედი ეწია (და არა ბედი ეწევია, ბედი ეწვია — იხ. ბედი ეწვია; ბედი ეწია) გავრცელებული ფრაზეოლოგიური შესიტყვებაა და

უპირატესად სასიამოვნო, სასიხარულო, საბედნიერო სიხლის შესახებ ითქმის. მაგ.: „იქნება ვათხოვდე, ბედს ეწიოს!“ (მხ. მრევლ.). სიტყვა ბედის ფართო სემანტიკური მომცველობის გამო ეს გამოთქმა ზოგჯერ გამოიყენება არასასურველ, არასასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებითაც: მასაც იგივე ბედი ეწია. ფრაზის სიმყარის გამო არამართებულია ამგვარ შესიტყვებაში ბედი სიტყვის ჩანაცვლება ხვედრით. მაგ.: „როცა იგი სანაპიროზე მთვრალი მართაგდა „ეიგულს“, მაშინ გააჩერეს ავტოინსპექტორებმა. მასაც იგივე ხვედრი ეწვია [უნდა იყოს: ბედი ეწია], რაც სხვებს“ („თბილ.“).

ხშირად სადავო შესიტყვებებს ქმნის აგრეთვე სიტყვა ხვედრის გამოყენება მისი სხვა სინონიმების (კუთვნილი, წილი, ულუფა, კერძი) მნიშვნელობითაც, რომელთაც ხვედრი უპირისპირდება კუთვნილი ნაწილის გამოყოფის ხასიათით: კუთვნილი, წილი, ულუფა, კერძი შეიძლება იყოს ის ნაწილი (საზრდოსი, საკვებისა), რომლის რაოდენობა თუ ხასიათი განისაზღვრება ერთი პირის ან კოლექტივის მიერ, ხოლო ხვედრი (ან ბედი) ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი, შემთხვევითი, „ბრმა“ კუთვნილებაა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგ იდიომურ გამოთქმათა დაპირისპირებაც: წილად ერგო/არგუნა (ღმერთმა, ცხოვრებამ) და წილად ხვდა. წილად რგება ადამიანის ნების ჩარევას არ გამოირიცხავს და ამიტომ მას აქვს როგორც აქტიური ვარიანტი წილად არგუნა (მან მას ის), ისე პასიურიც: წილად ერგო (მას ის). წილად ხვდომა კი მხოლოდ პასიურ ფორმას გულისხმობს, რადგან სუბიექტის აქტივობას თვით სიტყვის სემანტიკა უარყოფს, გამოირიცხავს.

ამიტომ ხვედრის ხმარება იმ წილის, ულუფის, კუთვნილის მნიშვნელობით, რომელსაც ადამიანები ქმნიან, ანაწილებენ, არიგებენ, — გაუმართლებელია. ხვედრის ამგვარი მნიშვნელობით ხმარება კი ამ ბოლო ხანებში აშკარად შეინიშნება, მაგ.: „თქვენ, როგორც ოჯახის სრულწლოვან წევრს, თუ არსებობის დამოუკიდებელი წყარო მოგეპოვებათ, უფლება გაქვთ მოითხოვოთ საცხოვრებელი სადგომის გორაკნობის ცალკე ხელშეკრულება ოჯახის თქვენთან ერთად მცხოვრები სრულწლოვანი წევრების თანხმობით და თქვენი ხვედრი [უნდა იყოს: კუთვნილი] საცხოვრებელი ფართობის შესაბამისად“ („კომ.“); „განდა ბაზა, სპორტის ახალგაზრდა სახეობა უკვე ერთეულია ხვედრი [უნდა იყოს: კუთვნილება] აღარ არის“ („ახ. კომ.“).

უფრო იშვიათად პირუტყუ შემთხვევაც გვხვდება, — როდესაც ხვედრის ნაცვლად ნახმარია მისი ერთ-ერთი სინონიმი: „მაგისტვის ეგე სამართლიანი ულუფა“ (ი. მაჩაბ. თარგმ.). ამგვარი ერთეული შემთხვევები მხოლოდ პოეტურ თავისუფლებად (poetica licentia-დ)

უნდა შეფასდეს, ჩვეულებრივს, პრაქტიკულ მეტყველებაში კი უკუ-საგდებია.

ხმას იდაბლებს. ეს შესიტყვება მიღებულია მყარი გამოთქმის—**ხმას იმაღლებს** — ანალოგიით. ოღონდ **ხმას იდაბლებს** მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება იხმარებოდეს: ხმადაბლა იწყებს (ან აგრძელებს) ლაპარაკს, ხმას (დაბლა) უწევს. ვადატანიით მნიშვნელობით იგი არ იხმარება. ხოლო **ხმას იმაღლებს** ორივე მნიშვნელობით იხმარება. მისი პირდაპირი მნიშვნელობაა: ხმამაღლა იწყებს (ან აგრძელებს) ლაპარაკს, ხმას (მაღლა) უწევს, ხმამაღლა ლაპარაკობს; უყვირის, უჯავრდება ვისმე. მაგალითად: „განგებ იმაღლებენ ხმას, ხმამაღლა იცინიან, კისკისებენ“ (ჭ. ლომთ.); „ველეავდი და ხმას ვიმაღლებდი ხანდახან“ (ე. ბარნ.).

ამ გამოთქმას ვადატანიითი მნიშვნელობაც აქვს: პროტესტს აცხადებს, უკმაყოფილებას გამოთქვამს, აშკარად, გაბედულად გამოდის,— ხმას იღებს. „ომის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს მსოფლიოს ყველა ხალხი“ („კომ.“); „ღროა ჩვენი ქალაქის ამგვარ შემარცხენლებზეც ავიმადლოთ ხმა“ („თბილ.“).

ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ამავე გამოთქმის ანალოგიით უხმარიათ უკუთქმითი შინაარსის გამონათქვამი **ხმას არ იდაბლებს**, რაც არ არის ბუნებრივი და მართებული სალიტერატურო ენისათვის. მაგ.: „ქართული მწერლობა და ხელოვნება ყოველთვის იყო საზოგადოებრივი ტრიბუნი და არასოდეს არ იდაბლებდა ხმას ჩვენ ნაკლოვანებებზე“ („ლიტ. საქ.“); „ქართული თეატრი რესპუბლიკაში შექმნილი იდეური და ორგანიზატორული ინერტულობის დროსაც არ იდაბლებდა ხმას, მაინც ახერხებდა სატრიბუნო სპექტაკლების შექმნას“ („ლიტ. საქ.“). ორსავე შემთხვევაში **ხმას არ იდაბლებდა** უნდა შეიცვალოს შესაბამისი ბუნებრივი ქართული გამოთქმებით: გვერდს არ უვლიდა, თვალს არ არიდებდა, ყურს არ უყრუებდა, ანდა: ხმას იმაღლებდა და მისთ.

ხსოვნა სახელია **ახსოვს** ზმნის მოქმედებისა და ნიშნავს „არ დაეიწყებას“ (საბა): „ერთი მეტად ჩასჭედოდა იმათსა ხსოვნას“ (ე. ბარნ.); „მისი მონაყოლიდან ჩამრჩა ხსოვნაში დიდებული სურათი“ (თ. ბიბილა.); „მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს შორის“ („თბილ.“)...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ხსოვნა** ხშირად საზმარი და მეტად გამჭვირვალე მნიშვნელობის მქონე სახელია და, მით უმეტეს, მოულოდნელია მისი დაკავშირება სემანტიკურად ისეთ შეუფერებელ სიტყვასთან, როგორცაა **დავიწყება**. დავიწყება ან არდავიწყება შეიძლება მხოლოდ ვისიმე ან რისიმე და არა ხსოვნისა, რადგან **ხსოვნა** თვითონ არის არდავიწყება.

ზემოთქმულის საფუძველზე, სტილისტიკურად გასამართავია შემდეგი წინადადებები: „ვინც კი იცნობდა ამ უწყინარ... ადამიანს, ძნელია დაივიწყო მისი ნათელი ხსოვნა [უნდა იყოს: ძნელია დაივიწყოს იგი, მისი ნათელი პიროვნება...]“ („განთ.“, ვანი); „მათი ნათელი ხსოვნა დაივიწყებას არასოდეს არ მიეცემა [უნდა იყოს: მათ არასდროს დაივიწყებთ, ან: მათი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს შორის]“ (ტელეგად.); „მის ნათელ ხსოვნას [უნდა იყოს: მას] სიკვდილის კარამდე არ დაივიწყებთ მისი ჯერაც ცოცხალი სიყრმის მეგობრები“ („კინო“).

უმართებულად არის აგრეთვე გამოყენებული სახელი **ხსოვნა** შემდეგ წინადადებაში: „ქართველმა მწერლებმა... თბილი სიტყვით სამარადჟამო ხსოვნა მიაგეს ი. ნონეშვილს, ლ. ასათიანს, ე. ყიფიანს. სხვა სასახელო შვილებს [უნდა იყოს: მწერლებმა თბილი სიტყვით მოიგონეს ი. ნონეშვილი, ლ. ასათიანი, ე. ყიფიანი,... სხვა სასახელო შვილები]“ („თბილ.“).

ჯ

ჯირითი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს მოკლე სატყუორცნ შუბს ან ჯოხს. სწორედ ამ ჯოხთანაა დაკავშირებული ერთ-ერთი სპორტული შეჯიბრების სახელწოდება — **ჯირითი** (იგივე ისინდი). ამ შეჯიბრებისას ცხენოსანთა ორი გუნდიდან რეგრიგობით გამოდიან მხედრები, ერთიმეორეს ესვრიან პატარა ჯოხს და მორტყმის ადგილის მიხედვით ეწერებათ ქულები. სასროლ ჯოხს, რომელსაც ამ შეჯიბრებაში ხმარობენ, **ჯირითს** უწოდებენ. ჯირითი ცხენის ჭენებასაც ნიშნავს.

ჯირით- სიტყვისაგან რამდენიმე ზმნაცაა ნაწარმოები: ორპირიანი გარდამავალი **გააჯირითებს** (ის მას) და ერთპირიანი გარდაუვალი **ჯირითობს** (ის). **გააჯირითებს** ნიშნავს: **ჯირითით** წაიყვანს, გააჭენებს (ცხენს), **ბოლო ჯირითობს** — ჯირითში მონაწილეობს, აგრეთვე: აჭენებს, დააჭენებს (ცხენს).

მამასაღამე, ყველა შემთხვევაში, როდესაც **ჯირითსა** თუ მისგან ნაწარმოებ სიტყვებს არაფიგურალურად, პირდაპირი მნიშვნელობით გამოვიყენებთ, ერთი აუცილებელი სემანტიკური ნიშანი შენარჩუნებულია, — მოქმედება ცხენთანაა დაკავშირებული.

გაჭენების მნიშვნელობასთან **ჯირითის** სინონიმიზაციამ განაპირობა **ჯირითის** ფიგურალური ხმარება ყოველგვარი სწრაფი სკლის, გაღამეტებული სიჩქარის აღსანიშნავად. და, როგორც ხშირად ხდება სიტყვის მეტაფორული ხმარების დროს, **ჯირითმა** ამ შემთხვევაში უარყოფითი ემოციური ელფერი შეიძინა.

უკანასკნელ ხანს ძალიან გავრცელდა **ჯირითის** ამგვარი ხმარება მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვის აღსანიშნავად. მაგ.: „ბევრი ჯერაც არაფრად ავდებს საზოგადოების საერთო ინტერესებს, გულგრილად უგულვებელყოფს უსაფრთხო მოძრაობის წესებს, „რაინდობის“ საზომად ალკოჰოლის მიღების შემდეგ ქალაქში აღმა-დაღმა ჯირითი მიაჩნია და ჩვენდა სავალალოდ, თავის საქციელზე ერთხელაც არ დაფიქრებულა“ (თბილ.“); „გ. ავალიანმა, № 117 საშუალო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო ნაწილმა, სულ გადაივიწყა მანქანის საჭე, დაუფიქრებლად მიეძალა სასმელს და შემდეგ ქალაქში **ჯირითი** მოისურვა“ („თბილ.“). „ახლა ვინ არის იდეალური საქმრო?! ის, ვინც მამისეულ ავტომანქანას **დააჯირითებს** და არმად ნაშოვნ ფულებს ბზესაეით ფანტავს, თუ ნაკლებ უზრუნველყოფილი, უბრალოდ შემოსილი, შრომის დაწაფებული ჯაბუკი?“ („ახ. კომ.“).

უარყოფითი ემოციური ეფექტის შესაქმნელად სიტყვის ამგვარ გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას გარკვეული გამართლება აქვს, თუკი იგი ზომიერად იქნება გამოყენებული. მაგრამ **ჯირითი**, **გაჯირითება** სიტყვების ფიგურალური ხმარებით ზედმეტად გატაცებამ შეასუსტა ამ სიტყვების ემოციური ეფექტი და, ამასთან, შეუსაბამო შესიტყვებებიც წარმოიშვა. ასე, მაგალითად, თითქოსდა ფიგურალურად, ხატოვანების პრეტენზიით უხმარიათ ეს სიტყვა საგაზეთო წერილის სათაურად: „**ტრაქტორი გააჯირითა**“ („კომ.“), რომელშიც მოთხრობილია მთვრალი ტრაქტორისტის მარცხიანი „გასეირნების“ ამბავი. თვითონ ტექსტში **ჯირითი**, მართალია, ბრჭყალებშია ჩასმული ფიგურალური მნიშვნელობის მისათითებლად („**ტრაქტორის „ჯირითი**“ დიდხანს არ გავრძელებულა“), მაგრამ ამ სიტყვის **ტრაქტორთან** ხმარების ლოგიკური შეუსაბამობა მაინც აშკარაა: ტრანსპორტის სახეობათა შორის ტრაქტორი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნელი, თითქმის ლოღილა მანქანაა, ამიტომ სათანადო სახელთან **ჯირით-** სიტყვის ხმარება არც ფიგურალურად და არც, მით უფრო, პირდაპირი მნიშვნელობით არ არის გამართლებული.

უარყოფითი ემოციური ელფერი აქვს **ჯირითს** აგრეთვე შემდეგ წინადადებაშიც: „ერთხელ და სამუდამოდ მიჩვეოდა იმ აზრს, რომ კვირიკეს ეკლესიის კედლები სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, არამკითხვე შემრყვენლ-შემთეთრებელთა **ჯირითით** დალდასმული“ („ლიტ. საქ.“).

ზედმეტი სისწრაფე, თავგამოდება ყველა საქმეში არ არის დასაძრახისი და დასაგმობი. ზოგიერთ შემთხვევაში მას სასიამოვნო შედეგები მოჰყვება. როგორც ჩანს, **ჯირითის**, **გაჯირითების** ძირითადი ფი-

გურალური სემანტიკა—სისწრაფე, მოქნილობა დაედო საფუძვლად ამ სიტყვის დადებითი ემოციური შინაარსით გამოყენებას. ასე აღმოჩნდა სიტყვა **გაჯირითება** სახელის სწრაფად განთქმის, „გატყორცნის“, სწრაფად, სახელოვნად გავრცელების მნიშვნელობით გ. ლეონიძის ლექსში: „იქ კითხულობდი რუსთაველს გაღიმებული პირითა, ვინც შენი ქვეყნის სახელი გატყორცნა, **გააჯირითა**“. მაგრამ ის, რაც პოეზიაში ასე თუ ისე დასაშვებია (შესაძლოა, უფრო **გატყორცნასთან** მეზობლობის გამო), არ მოუხდა უკვე ცრუ მხატვრული, ყალბი პათოსით სისწრაფის, მოქნილობისა და მოზღვნილობის გამოსახატავად შემდეგ წინადადებებს: „თბილისობას მოუხდა, თბილისობა დაამშვენა ქართულმა ლექსმა, ასე დიდებულად რომ **გააჯირითა** რიყეზე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ოთარ მელენინეთუბნუცესმა“ („თბილ.“); „მომდევნო კვირის ნამუშევარი კი ბევრად წინ **გააჯირითებს საწარმოო მაჩვენებელს**“ („ახ. კომ.“).

საწარმოო მაჩვენებლების ანდა **ლექსის გაჯირითება** უხეირო ექსპრესემებია. როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო მუშის დამსახურება, მისი საწარმოო მაჩვენებლების შედარება **ჯირითთან** ძალზე უხერხულია. ასევე ვერაფერი კომპლიმენტია მხატვრული სიტყვის ოსტატოსათვის ლექსის დიდებულნი გამჯირითებლის სახელი.